პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ხუთშაბათი 17 მაისი № 114 (17459) ფასი 2 კაპ.

ავტორიტეტი

ბალხის მიერ ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკური კურსის ერთსულოვანი, მტკიცე მხარდაჭერა წინსვლის საიმედო საძირკველია. უეჭველია, რომ დასახული გეგმები განხორციელდება, ისინი რეალობად იქცევა პარტიის ნებით, საბჭოთა ადამიანების გარჯით. ამის საწინდარი პირველ რიგში ის არის, რომ შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელობაში მოდიან ადამიანები, რომლებიც მთელი არსებით იბრძვიან ცხოვრების ყველა სფეროში ახალი აღმავლობის მისალწევად, პრაქტიკულად ახორციელებენ ცხოვრების საბჭოურ წესს, წინ აყენებენ ყოველგვარ საზოგადოებრივს, სახელმწიფოებრივს, თავიანთი უანგარო შრომით, გაბედულებითა და შემართებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

საბჭოთა ადამიანს, რომელიც განუხრელად იბრძვის თავისი პროფესიული და ზნეობრივი სრულყოფისათვის, ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი. პარტიას მზედველობიდან არ რჩება ისინი, რომლებსაც მარტო პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა კი არ ამოძრავებთ, არამედ მუდამ მზად არიან წრფელი გულით ემსახურონ საერთო საქმეს, რაც შეიძლება მეტი კონკრეტული წვლილი შეიტანონ ჩვენი ნათელი მომავლის შექმნაში. დიდება თვითონ პოულობს შრომისმოყვარე, პატრიოტ, კეთილსინდისიერ ადამიანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად წინა პლანზეა წამოწეული ჩვენი კადრების პოლიტიკიური და ცხოვრებისეული ცოდნის დიდი სიმდიდრით მუდმივი შეიარაღების, მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის გადაუდებელი ამოცანები.

ამიტომაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ემზადება თავისი მორიგი პლენუმისათვის, რომელიც კადრებთან მუშაობის საკითხს განიხილავს. ეს სამზადისი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს რესპუბლიკის თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას, რომ პლენუმზე მივიტანოთ ჩვენი საერთო მეცადინეობით შემუშავებული ყველაზე სწორი რეკომენდაციები.

პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლამ თვალსაჩინო შედეგები მოგვცა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ზედიზედ მეექვსედ გამარჯვებამ ნათელყო, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებას, ხელმძღვანელობა მიენდო მცოდნე, გამოცდილ, საქმის ერთგულ ადამიანებს.

თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორად ახლახან დაიწინაურეს ერუდიტებული ინჟინერი, გამოცდილი სპეციალისტი პ. თორდია, რომელმაც რიგითი მუშიდან მიაღწია ამ მაღალ პოსტს. თავისი ცხოვრების ორმოცწლიან გზაზე მას არ ჰქონია შემთხვევა, რაიმე დაეშურებინა საქმისათვის, ნიჭი და უნარი არ მოეხმარებინა წარმოებისათვის. კომპეტენტური ხელმძღვანელის მოსვლას კოლექტივი ქმაყოფილებით შეხვდა.

წელიწადს, 4 მარტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ერთხმად აირჩიეს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV კრების სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. აიბა, რომელიც არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით საკოლმეურნეო შრომის ერთ-ერთი ცნობილი ორგანიზატორია. მის პიროვნებას ხალხის გულში მოხვეჭილი გულწრფელი სიყვარული ამშვენებს.

ბევრი რამ ითქმის ამავე რაიონის მასწავლებელ იულია კაპბაზე, რომლის ცხოვრებისეულმა აქტიურმა პოზიციამ განსაზღვრა მისი დღევანდელი ავტორიტეტი — იგი არჩეულია პარტიის გუდაუთის რაიონული კომიტეტის მდივნად.

„ჩვენს წინაშე დასახული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს შემოქმედებითის მიდგომას, მაღალ პასუხისმგებლობას, უმკაცრეს დისციპლინას მეურნეობის ყველა რგოლში. ეს ეხება ყველა დონის სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობას, ეს ეხება წარმოების უშუალო მონაწილეებსაც“.

მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ ამ სიტყვებს ბევრი ჩვენი თანამემამულე საქმით გამოეხმაურა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშაკიური დიაკონიე, რომელიც ამას წინათ აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

თვალსაჩინო წარმატებებში, რომლებსაც მახარაძის რაიონი აღწევს, უდავოდ დიდი წვლილი შეაქვს რაიონის კომუნისტების წინამძღოლს, პარტიის რაიონული კომიტეტის პირველ მდივანს დ. დვალიშვილს, რომელმაც შეძლო ბევრი რამ გაემიჯნა ფორმალიზმისაგან, კონიუნქტურული სტერეოტიპისაგან. აქაურმა კომუნისტებმა ახალი რეზერვების ძიების გზაზე გამოიჩინეს საყურადღებო ინიციატივა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა. მათ გადაწყვეტეს, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით საკუთარი წარმოების ხორცით უზრუნველყონ რაიონის მოსახლეობა.

სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის ბრძოლა, რაც პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში მუშაობის ლენინური სტილის დამახასიათებელი ნიშანია, განამტკიცებს ჩვენი კადრების ავტორიტეტს, მათს კომპეტენტურობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე და აქტივის კრებებზე არაერთხელ თქმულა ეგრეთწოდებული სავარძლის მაძიებელთა შესახებ, იმათ შესახებ, რომელთა სიტყვა სხვაა, ხოლო საქმე — სხვა. ზოგი თავს შეუცვლელ მუშაკად წარმოიდგენს ხოლმე, ყოყოჩდება, კომუნისტის მორალსა და ეთიკას ღალატობს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საწარმოო ბაზის უფროსად მუშაობდა გ. ბაბუხადია. იგი პირველ ხანებში ურიგო მუშაკად რიდი ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ გამოიცვალა, დაეტყო ქედმაღლობა, ამპარტავნობა, მიხწრაფება კარიერიზმისადმი. და აი, სულ მალე ჩაიდინა კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი, რის გამოც გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. სამწუხაროდ, მას არც შემდეგ გამოუტანია სათანადო დასკვნა.

ჭეშმარიტი კომუნისტი ხელმძღვანელისათვის ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა ის უბადლო ნიმუშია, რომლითაც იგი ამოწმებს თავის გადაწყვეტილებებს, თავის ქცევას. ყველამ ვიცით, როგორი იყო ლენინი, რომელიც ყოველთვის ეხმრაფოდა ჭეშმარიტებას, ახასიათებდა საოცარი ადამიანობა, თავმდაბლობა, უბრალოება, გულითადობა, გულისხმიერება, პატივისცემით და თავაზიანად ეპყრობოდა ადამიანებს, მუდამ ახე ხვამდა საკითხს: ვცხოვრობდეთ მასების ცხოვრებით, ვიცოდეთ მათი განწყობილება, მისწრაფებანიო.

სწორედ ამ კრიტერიუმით ვერ ხელმძღვანელობდა კადრებთან მუშაობისას სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ონიანი, რომელმაც, იმის ნაცვლად, რომ მაგალითი მიეცა სხვებისათვის, კომუნისტისათვის უღირსი საქციელი ჩაიდინა. იგი ამჟამად მოხსნილია სამუშაოდან.

ჩვენს მუშობასა და ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელის მორალურ ავტორიტეტს. იგი უნდა განასახიერებდეს პიროვნებას, რომელიც მთელ თავის ნიჭს, უნარს, ცოდნას კეთილსინდისიერად ახმარს მშრომელებს, მუდამ ერთგულია პარტიის პრინციპების, აქტიური პოზიცია უჭირავს, მორალურ უფლებას ანარჩუნებს უხელმძღვანელოს ადამიანებს, შეუძლია მოიპოვოს მასების პატივისცემა და სიყვარული.

კომუნიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე ნიშანდობლივია ცხოვრებით ნაკარნახევი ამოცანა — უნარი შეგვწევდეს წინასწარ განვჭვრიტოთ მომავლის პერსპექტივები, გავაანალიზოთ და განვაზოგადოთ გამოცდილება, შევაფასოთ და გავითვალისწინოთ ის, რამაც უზრუნველყო მიღწევები და წარმოშვა ნაკლოვანებანი. მხოლოდ ასე შეიძლება ხვალინდელი დღის სწორი პროგნოზირება, საზოგადოების წარმატებით განვითარებისათვის კონკრეტული და კონსტრუქციული პროგრამის შემუშავება. მოვლენებისადმი ასეთი მიდგომა სულ უფრო და უფრო დამახასიათებელი ხდება ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისათვის და წინსვლის გზაც ასეთი თვისებებით აღჭურვილი ადამიანებისათვის ფართოვდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის სამზადისი უნდა გადავქცეოთ კადრების ყოველმხრივი შემოწმების, სწორი შეფასების პერიოდად, არ უნდა დავუშვათ არც ერთი ფაქტი, რომ შემთხვევითი პირი აღმოჩნდეს ხელმძღვანელის პოსტზე, ხდება გამოვუცხადოთ მხოლოდ იმ მუშაკებს, რომლებსაც ახასიათებთ წრფელი თავდადება, დიდი პასუხისმგებლობა და მოწადინება დაკისრებული საქმის პირნათლად შესრულებისათვის. ადამიანთა შეფასების მთავარ ფაქტორად უნდა გავიხადოთ საღი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ყველაზე ავტორიტეტულია ჩვენი საქმიანობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე.

ხუთწლედის მეოთხე წელიწადი

სადაც შრომის დისციპლინა მტკიცეა, წარმატებებიც მეტია!

მოწინავეთა რიგებში

თბილისი. ნაყოფიერი შრომის შედეგად წლევანდელი წლის დამდეგიდანვე მოწინავეთა რიგებში დგას დედაქალაქის გრეხილი ავეჯის კომბინატის (დირექტორი — ლ. ნამგალაძე) კოლექტივი. მეავეჯეებმა პირველ კვარტალში მთლიანი პროდუქციის წარმოების დავალებას 31, ხოლო რეალიზაციისას 20 ათასი მანეთით გადააჭარბეს. აღსანიშნავია, რომ ზეგეგმითი პროდუქცია აქ შრომის ნაყოფიერების ზრდის (2,7 პროცენტი) გზით მიიღეს.

საწარმოს მშრომელებმა კარგი მაჩვენებლებით დაიწყეს მეორე კვარტალიც. აპრილში მათ წარმატებით შეასრულეს როგორც მთლიანი პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის დავალებანი. პირველი აპრილიდან 15 მაისამდე ჩათვლით სულ დამზადებულია 815 ათასი მანეთის ავეჯი, მათ შორის 26 ათასი მანეთისა — გეგმის გადამეტებით.

შიდასაწარმოო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს საამყოფობო და საბავშვო ავეჯის საამქროთა კოლექტივებმა, რომლებსაც შ. მაისურაძე და ნ. ქარელი ხელმძღვანელობენ.

თ. კინწურაშვილი.

მენავსადგურეთა წვლილი

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაიწყო მიმდინარე ხუთწლედის მეოთხე წელი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს (უფროსი — გ. ჩხეიძე) კოლექტივმა. შრომითს ვახტზე მდგომმა მეზღვაურებმა და მენავსადგურეებმა თავდადებული გარჯით იანვარ-აპრილს დავალება ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით შეასრულეს. ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით გადახიდულია ათიათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

საწარმოს მშრომელებს — მეზღვაურებსა და მენავსადგურეებს გადაწყვეტილი აქვთ კიდევ უფრო ამრავლონ მიღწეული. მათი მიზანი ერთია — თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ როგორც მიმდინარე წლის სოციალისტურ ვალდებულებათა, ისე მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

ათი დღით ადრე

სიღნაღი. (ხაკ. კორ.). წნორის ავტოსასტრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა (დირექტორი — გ. ჯანყარაშვილი, პარტბიუროს მდივანი — ნ. ციციშვილი) ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება. 314 ათასის ნაცვლად მიღებულია 318 ათასი მანეთის ფასადი შემოსავალი. შესაბამისად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, დაიზოგა ხელფასის ფონდი.

წარმატებებს მიაღწიეს ავტომეფეტ ტაქსების მძღოლებმა, რომლებმაც მგზავრთა გადაყვანის გეგმა 114 პროცენტით შეასრულეს. საქმის მსვლელობა მოწმობს, რომ მთისის დამლევისათვის ეს საწარმოო მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზრდება.

ვლ. მჰედლიშვილი.

1979 წლის 18 მაისს დღის 3 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის

სამეცნიერო კონფერენცია

რომელიც ეძღვნება ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და მეტაკრიტიციზმის“ გამოსვლის 70-ე წლისთავს.

კონფერენცია გაიმართება ინსტიტუტის საქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 29).

ეს ღღეები სოფლად

გუშინ პლანტაციებში

რესპუბლიკაში გუშინ მოიკრიფა და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარდა 4.751 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ ეს ზონის დაწყებიდან — 45.056 ტონა. ეს შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 33.653 ტონით მეტია.

მახარაძის რაიონში გუშინ მოიკრიფა 1.053 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ კრეფის დაწყებიდან — 4.741 ტონა.

ზუგდიდის რაიონმა სეზონის დაწყებიდან მოკრიფა 6.403 ტონა ჩაის ფოთოლი, მარტო გუშინ — 500 ტონა.

ქობულეთელმა მეჩაიეებმა მარტო გუშინ მოკრიფეს 479 ტონა ფოთოლი, სულ — 3.247 ტონა.

ბალის რაიონში გუშინ მოიკრიფა 521 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ — 5.374 ტონა.

ბებეჰკორელმა მშრომელებმა სეზონის დაწყებიდან მოკრიფეს 3.458 ტონა ფოთოლი, მარტო გუშინ — 88 ტონა.

ხელვაჩაურის რაიონში გუშინ მოიკრიფა 298 ტონა ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან — 3.052 ტონა.

ჩხოროწყუს რაიონმა გუშინ მოკრიფა 212 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ — 2.552 ტონა.

საკვების დამზადება

გარდაბანი. („კომუნისტის“ კორ.). მთელი ძალით არის გაჩაღებული კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობაში მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლა. უკვე დაიწყო იონჯის თიბვა. ამ სამუშაოს პირველი შეუდგნენ მექანიზატორები ი. გუსეინოვი და ი. ფიადიკოვი. თითოეული მათგანი ყოველდღე ბალახს 2,5-3 ჰექტარს თიბავს. ფერმებში ყოველდღე იგზავნება 30 ტონაზე მეტი იონჯა, რასაც მწვანე საკვებად იყენებენ.

ამ დღეებში მასობრივად დაიწყება ბუნებრივი ბალახის თიბვა. 1000 ტონის ნაცვლად 1.500 ტონა თივა, 2.700 ტონის ნაცვლად 3.000 ტონა სილოსი, 1.600 ტონის ნაცვლად 2.000 ტონა სენაჟი — ასეთია კრწანისელ საკვებმომპოვებელთა გადაწყვეტილება.

ხორცი—საპარმიდამო მეურნეობიდან

ბორი. (ხაკ. კორ.). სურის სასოფლო საბჭოს მოსახლეობას საპარმიდამო მეცხოველეობის განვითარების კარგი შესაძლებლობა აქვს. ხორცის წარმოების გადიდებაში პირადი წვლილის შეტანა სკრელმა მშრომელებმა ღორსების საქმედ გაიხადეს და შედეგებიც ურიგო როდი აქვთ. შარშან 24 ტონის ნაცვლად 31 ტონა ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს. თავი გამოიჩინა თ. შოშიაშვილმა, რომელმაც საკარმიდამო მეურნეობიდან 2.157 კილოგრამი ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს და კარგი ანაზღაურებაც მიიღო. ამ დღეებში ლ. კობულაშვილმა 2.100 კილოგრამი ხორცი მიიტანა დამამზადებელ პუნქტში. ახლა იგი 17 ღორსა და 5 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს ასუქებს მზაყიდად.

ბევრმა სკრელმა მშრომელმა გადაწყვიტა საკარმიდამო მეურნეობიდან წელს სახელმწიფოს დიდძალი ხორცი მიჰყიდოს.

გ. ვაშაკიძე.

ხუთწლედის აღამიანები

ახალგაზრდა გვირაბგამყვანი



მეტროპოლიტენის მეორე რიგის — საბურთალოს ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე სულ რამდენიმე თვე დარჩა. მშენებარე ხუთი სადგურიდან ამჟამად მთელი სიმძიმის ცენტრი „ვაგზლის მოედნის“ მეორე გადასასხმელმა სადგურზეა გადატანილი, რომლის მშენებლობაც თბილისგვირაბმშენის კოლექტივმა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოგვიანებით დაიწყო.

ამ ობიექტის მშენებლობაზე მრავალ მოწინავე გვირაბგამყვანსა და სხვა დარგის სპეციალისტთა შორის ერთ-ერთი პირველია გვირაბგამყვანი, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ნუგზარ ვაჭარაძე, რომელიც № 26 პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უკვე მეექვსე წელია, რაც საყვარელ საქმეს ემსახურება და ყოველთვის პასუხსაგებ უბანზე შრომობს. მისმა ბრიგადამ მეათე ხუთწლიანი გეგმა გასული წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულა. პირადად ნ. ვაჭარაძე კი უკვე 1980 წლის ანგარიშში მუშაობს.

სურათზე: პარტიის წევრი, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, გვირაბგამყვანი ნ. ვაჭარაძე.

ა. სააკოვის ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ც. ბ. ტატიშვილისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება მიენიჭოს ამხ. ცისანა ბეჟანის ასულ **ტატიშვილს** — თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 16 მაისი.

ამხანაგი ი. ბროზ ტიტო საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა

საბჭოთა საუკუნო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 16 მაისს საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად და ხანმოკლე დასვენებისათვის ჩამოვიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ი. ბროზ ტიტო.

ი. ბროზ ტიტოს ახლავან იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ს. დოლანცი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი ი. ვრხოვეცი და სხვა ოფიციალური პირნი.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ი. ბროზ ტიტოსა და მის თანმხლებ პირთ დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყვნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. ორლანდიჩი და საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკდესი).

საუბარი კრემლში

15 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი.

მეგობრულ ატმოსფეროში ჩაევლილი საუბრის დროს განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე სხვა საერთაშორისო პრობლემები.

ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ უცვლელია საბჭოთა კავშირის კურსი, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავება და მსოფლიოს ყველა იარაღნაწილ გავრცელება, ამასთან საგანგებოდ აღნიშნა, რომ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ომის თავიდან აცილების, გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების პრაქტიკულ ღონისძიებებს.

საუბრის დროს შეეხნენ აგრეთვე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია დაძაბულობის არსებული კერების ჩაქრობისა და ახალი კერების გაჩენის თავიდან აცილების ამოცანებთან.

ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად უჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი გენერალური მდივნის მეცადინეობას, რომლის მიზანია საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

კ. ვალდჰაიმმა მადლობა გადაიხადა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ უწყობს ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და. იჩენს ინიციატივებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და დამკვიდრებისათვის. (საკდესი).

განიხილეს დიდმნიშვნელოვანი საკითხები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო 16 მაისს ესაუბრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კურტ ვალდჰაიმს.

მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვეობის საეროაშორისო მდგომარეობის საკვანძო პრობლემებზე.

* * *

ნაშუადღევს კ. ვალდჰაიმი საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-1098“

1979 წლის 15 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1098“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

„კომუნისტის“ საგუშაგო გვატყობინებს

აკლიათ მუშახელი, მასალები

● ვიდერნიზებულია ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მოქმედი სადნობი ღუმელების ნახევარზე მეტი

● მწყობრში ჩადგა 420 ათასი ტონა აგლომერატის მწარმოებლობის ფაბრიკა

● დასასრულს უახლოვდება საწარმოს გენერალურ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სხვა საშუშაოებიც

მალე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ქვეყნის შავი მეტალურგიის გიგანტი გახდება. ხუთწლედის დამლევისათვის საექსპლოატაციოდ ჩანდა გადაეცეს ორი ახალი სადნობი ღუმელი, რომელთა საშუალებითაც ფეროშენადნობთა კონცენტრატის გადამუშავება 40 პროცენტით გაიზრდება.

ახალი ღუმელების მშენებლობა შარშან დაიწყო, მაგრამ მშენებლებმა და მემონტაჟეებმა სრული დატვირთვით ვერ იმუშავეს, რადგან უფრო საშური საქმე აგლომერაციის გასაშვებ ობიექტზე ჰქონდათ. ერთი სიტყვით, შარშანდელმა ჩამორჩენამ და ზამთრის ჭირვეულმა ამინდებმა ძალზე შეაფერხა მშენებლობა და დაძაბული მდგომარეობა შექმნა.

დამამშვიდებელი რამ ვერც მაისის დამდეგს ვნახეთ. მშენებლობაზე მოტანილი 5.000 ტონა ლითონკონსტრუქცია და სხვა მოწყობილობანი ქარხნის მთელ ტერიტორიაზე დაგვხვდა მოფანტული, ძალზე დუნე იყო მუშაობის ტემპიც.

მეოთხე საამქროს მთავარი კორპუსის გაგრძელებაზე, სადაც ახალი ღუმელები უნდა დამონტაჟდეს, მხოლოდ კარკასებია ამოყვანილი. დამონტაჟებულია 1.500 ტონა კონსტრუქცია, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულზე. თუ ასე გაგრძელო ქუთაისის ლითონკონსტრუქციების სამონტაჟო სამმართველომ, რომელსაც ნ. კვიტაშვილი ხელმძღვანელობს, საქმეს საფრთხე მოელის.

საყვედურს იმსახურებენ ქუთაისის მეოთხე ტრესტის მშენებლებიც. მათ ახლახან დაიწყეს წყალმომარაგების ობიექტების და გაზგამწმენდი მოწყობილობის აგება. შემოწმებისას მხოლოდ 20 კაცი აღმოჩნდა გაზგამწმენდის მშენებლობაზე, წყალმომარაგების ობიექტი კი უპატრონოდ იყო მიტოვებული. უფრო მეტიც, მზა პროდუქციის საწყობის მშენებლობა, რომლის კორპუსის სიგრძე 176 მეტრი უნდა იყოს, დაწყებულიც არ არის. ეს უწინარეს ყოვლისა „ჭიათურმშენის“ სამმართველოს ბრალია, რადგან დღემდე ვერ უზრუნველყო წიდის საგრანულაციო ახალი გასყოფილების მშენებლობის დამთავრება და მზა პროდუქციის საწყობის მშენებლობისათვის ტერიტორიის განთავისუფლება.

ჭიათურის მერვე სამშენებლო ტრესტი მთავარი მოჯარადრე ორგანიზაციაა და სხვებს არ უნდა უშლიდეს ხელს. სამწუხაროდ, აქ სწორედ ასეა. 28 აპრილს ობიექტზე ტრესტის წარმომადგენელი ვერ ვნახეთ, ჭიათურაში თაობიერზე გამოეძახათ „ზესტაფონმშენის“ სამმართველოს უფროსი ქ. ნიქაბაძეც. ობიექტზე მყოფი სამმართველოს მთავარი ინჟინერი ბ. მუმლაძე ხელმძღვანელების განაწყენებას მოერიდა და ყველაფერი გულახდილად როდი თქვა. თუმცა ისიც, რაც ერთი თვალის გადავლებითაც მოჩანდა, შეუწყნარებელი იყო.

ტრესტის თვკაცები ხელმძღვანელ ორგანოებს დაპირდნენ, რომ უახლოეს დღეებში დამთავრებდნენ დახურული ელექტროგამანაწილებელი ნაგებობის მშენებლობას, მაგრამ სიტყვა ვერ შეასრულეს.

მუშაობის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობის გამო ერთმანეთს უშლიან ხელს მოჯარადრე ორგანიზაციები. მექანიზაციის სამმართველოს დღემდე არ დაუწყია ფილტრების სათავსის და სატრანსფორმატორო ზეთის მეურნეობისათვის მიწის სამუშაოების შესრულება, ხოლო „ფოლადკონსტრუქციების“ სამმართველოს მთავარ კორპუსში სართულშორისი გადახურვების საწარმოებლად სამუშაო ფრონტი არ მიეცია მშენებლებისათვის.

არის სხვა შეფერხებებიც. ძირითადად დამთავრებულია ღუმელების საძირკვლების ამოყვანა, მაგრამ უშუალოდ ღუმელის ქვეშ საგები ცეცხლგამძლე ბეტონისათვის მასალის გამოყოფა ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. ამასთან საჭიროა 900 კუბური მეტრი ცეცხლგამძლე ბეტონის ჩასხმა, რომელმაც 1000 გრადუს ტემპერატურას უნდა გაუძლოს. ეს სამუშაო შრომატევადია და მისი დაყოვნება შეუწყნარებელია.

ერთი სიტყვით, ამ მნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტზე დღემდე არ იგრძნობა მაღალი შრომითი შემართება, არ ჰყოფნით მუშახელი, მექანიზმები და ქარგილების გასაკეთებელი ხე-ტყის მასალაც კი საძებარი აქვთ.

მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს!

გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობაზე: ი. ბაკურიანიძე — „ჭიათურმშენის“ სამმართველოს მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი; ლ. მოდებაძე — მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე, ლ. ფერაძე — „ლითონკონსტრუქციების“ სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი; ო. ნიქაბაძე — „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სართულები

მოლდავეთის სსრ. დღითიდღე სულ უფრო მშვენდება უძველესი კიშინიოვი. რესპუბლიკის დედაქალაქში საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამა ხორციელდება. ქალაქი სულ მაღლა და მაღლა მიიწევს: 20-სართულიანი სახლები ამშვენებს ფართო ქუჩებსა და პროსპექტებს, კეთილმოწყობილი ხდება ეზოები, სკვერები და ბულვარები. მეათე ხუთწლედში 14 ათასმა ოჯახმა მიიღო ბინა.

სურათზე: რესპუბლიკის დედაქალაქის საბჭოს რაიონი, სადაც 150 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს.

ა. სიმანოვსკის ფოტო (საკ-დესის ფოტოქრონიკა).

„როცა დადგენილება ქაღალდზე რჩება“

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. ბ. გამცემლიძე.

„კომუნისტის“ მიმდინარე წლის 16 მარტის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული სტატია „როცა დადგენილება ქაღალდზე რჩება“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები, საწარმო ურიტმოდ მუშაობს, არის ბოლმე „იერიშობანა“, სათანადოდ არ ზრუნავენ მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის...

ამის თაობაზე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. გამცემლიძე რედაქციას აცნობებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად სინამდვილეს შეეფერება.

როგორც მინისტრი გვატყობინებს, ფაბრიკის კოლექტივის ურიტმო მუშაობა, იერიშობანა ნედლეულის უქონლობით არ არის გამოწვეული — საწარმო შარშან სავსებით იყო უზრუნველყოფილი ნედლეულის ფონდებით, რომელთა ათვისებაში იგი არავითარ წინააღმდეგობას არ წასწყდომია. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმების შესრულების სიძნელეებიც ნედლეულის უქონლობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმით, რომ საწარმომ ვერ ითვისა კომპლექსურ-მექანიზებული ხაზის საპროექტო სიმძლავრე, რაც სუსტი ტექნოლოგიური, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის, შრომის სუსტი ორგანიზაციის შედეგია.

ფაბრიკაში სათანადო ყურადღება არ ექცევა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, ხარისხის გამჯოლი ბრიგადების შექმნას, გ. რიმნისთაველის ინიციატივის დანერგვას. არ არის გამოყოფილი უბნები საწარმოო სწავლებისათვის, არ იყენებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, თვალსაჩინოებებს, ცუდად წარმოებს პროფესიორიენტაციო მუშაობა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით დაეკვალთ:

ფაბრიკა „ამირანის“ ხელმძღვანელობას: გააკტიუროს ბიმოთოდიკური საბჭოს მუშაობა, რეგულარულად გამართოს მისი სხდომები და განიხილოს მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ყველა საკითხი, გაიუმჯობესოს პროფესიორიენტაციო მუშაობა, მკაცრი კონტროლი დაუწესოს ხაზარმოო სწავლებას, შეიძინოს ამისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები, დაამზადოს თვალსაჩინოებანი;

კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს: 1980 წელს დაპროექტოს 306-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“, წინდის საწარმოო კერძოთანებება „კრწანისის“ მეთაური საწარმოს და საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის“ მუშა-მოსამსახურეებისათვის;

თბილისის სარემონტო-სამშენებელო სამმართველომ სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტად მიიჩნიოს და დაიჩქაროს აქ სამუშაოები, მალე დაამთავროს სანიტარიულ-ჰიგიენურ ნაგებობათა შენების ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დაამთავროს ფაბრიკის სატრანსფორმატორო ქვესადგურის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები. დადგას სახურავის ვენტილატორები, ჰაერსალეტ შახტი დაამონტაჟოს უელუზები.

მინისტრის მოადგილეს ე. შენერულს დაეკვალა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად მოამზადოს საკითხი პროფტექნიკური სასწავლებლების ამ კურსდამთავრებული ახალგაზრდა მუშების თბილისში ჩაწერის მოწესრიგების შესახებ, რომელიც ფაბრიკის ხელმძღვანელობა და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ... ბულებებში შრომობენ.

ფაბრიკის მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით „ობილისელ-ქროექტმა“ უკვე შეიმუშავა კონკვალსში „ამირანისაგან“ 75 ბინანი ბინა ცხოვრებელი სახლის მშენებლობის საპროექტო-საძიებო-ძებნა დოკუმენტაციაზ.

ფაბრიკის ხელმძღვანელობა და ... ...

გაზეთების ფურცლებზე

ხუთწლედებმა უხვალა სახე

საქართველოს საზღვაო ჭიშკარში — ფოთის ნავსადგურში 50 წლის წინათ გადიოდა ოცეერ ნაკლები ტვირთი, ვიდრე დღეს. მაგრამ პირველი ხუთწლედის დასწყისი ნავსადგურისათვის მაინც ძნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აქ ბაშინ ხელის შრომიდან კომპლექსურ მექანიზაციაზე გადადიოდნენ.

დიდი ხანია ეს ამბავი წარსულს ჩაბარდა. ახლა თითქმის ყველა სამუშაო მექანიზებულია. პირველ ხუთწლედშივე ფოთი უკვე მიეკუთვნებოდა აზოვ-შავი ზღვის აუზის მსხვილ ნავსადგურთა რიცხვს. გაიზარდა ტვირთბრუნვის მოცულობა. მიჯრით იდგნენ გემები სხვადასხვა ქვეყნის ალმებით.

გაფართოვდა მუშაობის ფრონტი, დაიწყო ახალი ნაგმისადგომების, საწყობების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, პორტალური ამწეების დამონტაჟება. გამოჩნდა ტვირთის გადაზიდვისათვის საჭირო ტექნიკა. ნავსადგურმა პირველი ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულა. აზოვ-შავი ზღვის ნავსადგურებს შორის ფოთის ნავსადგურმა 1932 და მეორე ხუთწლედის პირველ წელს პირველი ადგილი დაიკავა.

ხუთწლედებმა სავსებით შეუცვალა სახე ნავსადგურს — იგი უახლესი ტექნიკით აღიჭურვა. ნავსადგურის კოლექტივმა მიმდინარე ხუთწლედის სამი წლის დავალებები წარმატებით შეასრულა და ახლა მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის იბრძვის.

„ახალი კოლხეთი“ (ფოთი).

ავიაცია — სოფელს

ლანჩხუთის რაიონის მეურნეობებში სულ უფრო ფართოდ ინერგება მექანიზაცია, ხელის შრომას ცვლის მანქანური შრომა. ამ დღეებში მხვნელ-მთესველები მორიგი სიახლის მოწმენი გახდნენ — რაიონის სინამდვილეში პირველად გამოიყენეს ავიაცია სახნავ-სათესი ფართობების მინერალური სასუქებით გასამდიდრებლად.

ვერტმფრინავის საშუალებით სასუქები შეიტანეს ნიგოითის და ალანჩხუთის საბჭოთა მეურნეობების ნათესებში. ვერტმფრინავი კომსახურებას უწევს აგრეთვე ეროჩხათისა და რაიონის ზოგიერთ სხვა მეურნეობას.

ვერტმფრინავის საშუალებით ძლიერ ჩქარდება ნიადაგში სასუქების შეტანა და სამუშაოც ხარისხიანად სრულდება.

„კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი).

ალგეთსეობა — უსვმოსავლიანი

მდინარე ალგეთის ხეობა ერთერთი ულამაზესი ადგილია ქვემო ქართლში. ვანუშტი ბაგრატიონს ამ ადგილებს როგორც „ტყიანს, ნადირიანს... მოსავლიანს.. ენანახოვნს და ხილიანს, [illegible]ეთილ ადგილსა“... უახლეს წლებში კი ეს ხეობა, მისი შემოგარენი კიდევ უფრო უხვმოსავლიანი და ბარაქიანი გახდება მდინარე ალგეთზე მშენებარე წყალსაცავის (მისი ტევადობა იქნება 65 მილიონი კუბური მეტრი) და ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის მეშვეობით. რაიონში სულ გასარწყავდება 18.000 ჰექტარი ფართობი.

წყალსაცავს ძირითადად აშენებენ „წყალმშენის“ ტრესტის № 5 სამმართველო, აგრეთვე სხვა სუბმოიჯარე ორგანიზაციები. „წყალმშენის“ ტრესტის № 5 სამმართველომ 1978 წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა და წარმატებით შრომობს მიმდინარე წელსაც.

„ლენინური გზა“ (თეთრი წყაროა).

რეალური სოციალიზმის უპირატესობანი

ვენა, 15 მაისი (საკდესი). ავსტრიის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნმა „ყამირმა“, რომელიც აქ გერმანულ ენაზე გამოუშვა გამომცემლობა „გლობუსმა“.

ეს წიგნი, განაცხადა ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ფრანც მურომ, ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას. ყველა, ვინც მას წაიკითხავს, აღტაცებული დარჩება იმ ადამიანებით, რომელთა ტიტანური შრომის წყალობით ყაზახეთის უდაბური ველებში. შედარებით მოკლე დროში შეიქმნა გიგანტური აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი, გამარჯვებით დაგვირგვინდა პეურისათვის ბრძოლა.

ავსტრიაში გამოიცა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი

ეს მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლოთ, რომლებსაც ღრმად სწამდათ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელების საჭიროება, სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების სიდიადე. დასახული მიზნის მიღწევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი და დამრაზმავი ძალის ხელმძღვანელობამ, პარტიისა, რომელმაც ადამიანების გმირული შრომა შთააგონა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნი, რომელშიც მკაფიოდ არის ასახული საბჭოთა სინამდვილე, დიდი ინტერესით იკითხება, თქვა შემდეგ ფ. მურომ. იქ ნაჩვენებია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა და ადამიანთა ურთიერთობა „მოკრძალებულ გზას“ არ ჰგავს, რომ მიმდინარეობს ბრძოლა, რომელის დროს სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს არ ჩქმალავენ. მით უფრო უფრო საინტერესოდ ჟღერდა წარმოგვიდგება რეალური სოციალიზმის უპირატესობანი.

ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“, რომლებიც ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით არის გამსჭვალული, ღირსეულად აღინიშნა ლენინური პრემიით. ეს წიგნები ხელს შეუწყობს საბჭოთა და ავსტრიელი ხალხების შეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. ლეონიდ ილიას ძის მთელი მოღვაწეობა განუხრელად უკავშირდება საბჭოთა საზოგადოების შემოქმედებითი წინსვლის ახალ ეტაპს, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლის ახალ ეტაპს.

ჩვენ, თქვა დასასრულ ფ. მურომ, დიდ სიხარულს განვიცდით უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ეს წიგნი ავსტრიაში გამოვიდა იმის წინ, როცა ვენაში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი.

გულითადი შეხვედრები

სოფია, 16 მაისი. (საკდესი). საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცა „სოიუზ-3“-ის ხომალდის საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ეკიპაჟის წევრების კოსმონავტების ნ. ნ. რუკავიშნიკოვისა და გ. ივანოვის ყოფნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. ყველგან „ვარსკვლაველ ძმებს“ გულთბილად და გულითადად ხვდებიან, როგორც უძვირფასეს და უახლოეს ადამიანებს.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის შთამბეჭდავი მანიფესტაცია გახდა სოფიის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი, რომელიც „უნივერსიადის“ დარბაზში გაიმართა.

მიტინგზე გამოვიდნენ გ. ივანოვი და ნ. ნ. რუკავიშნიკოვი.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშები სკკპ ცენტრალური კომიტეტის და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

„ვარსკვლაველი ძმები“ ეწვივნენ სოფიის სათემო სახლონ საბჭოს, სადაც მათ გადაეცათ სოფიის საპატიო ნიშანი.

ვაშინგტონი, 15 მაისი. (საკდესის კორ.). ამერიკის სენატმა ხმის უმრავლესობით მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოთხოვნა, რომ დამატებით გამოიყოს 4,8 მილიარდი დოლარი „ისრაელისა და ეგვიპტისათვის“ დახმარების გასაწევად“. ეს თავისებური საფასურია კაიროსა და ტელ-ავივისათვის, რომლებმაც შეერთებული შტატების შუამავლობით ხელი მოაწერეს ეგვიპტე-ისრაელის სეპარატულ ხელშეკრულებას.

სენატში კენჭისყრას წინ უძღოდა ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მოღვაწეთა, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ს. ვენსისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ჰ. ბრაუნის გამოსვლები, რომლებიც მოწმობს, რომ ეგვიპტე-ისრაელის გარიგება ახლო აღმოსავლეთში ანტიკომუნისტური ალიანსის შექმნის იმპერიალისტური გეგმების მნიშვნელოვანი რგოლია, „ტრამპლინია“ ამ რაიონში ამერიკის სამხედრო ყოფნის გასაძლიერებლად.

სენატმა მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს საფინანსო ფონდი შეაქმნევინოს დასავლეთის სახელმწიფოებს სეპარატული ხელშეკრულების განსახორციელებლად.

ყოველი მხრიდან

16 მაისი

ბრიუსელი. ბელგიისა და ნიდერლანდის კომუნისტურმა პარტიებმა აქ გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში აღნიშნეს, რომ საჭიროა აქტიური ბრძოლა ნატოს იმ გეგმების წინააღმდეგ, რომლებიც მიზნად ისახავენ გამალებული შეიარაღების შემდგომ გაძლიერებას. როგორც ამასთან დაკავშირებით განცხადებაშია ხაზგასმული, უაღრესად მნიშვნელოვანია წინააღმდეგობა გაუწიონ ბირთვული შეიარაღების პოლიტიკას და თანამიმდევრულად იბრძოლონ ნეიტრონული იარაღის წარმოების, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე მისი განლაგების წინააღმდეგ.

●●

ამანი. თვითგამორკვევის უფლება ყველა ხალხის კანონიერი უფლებაა. პალესტინელ ხალხს აქვს აგრეთვე უფლება დამოუკიდებლად დაადგინოს თავისი სამშობლოს მომავალი, განაცხადა იორდანიის მეფემ ჰუსეინმა. იგი გამოვიდა ამანში იორდანიის მაჰმადიან მოღვაწეთა სემინარზე. მეფემ დაადასტურა, რომ იორდანია ერთგულად იცავს ახლო აღმოსავლეთის კანონიზის ხელმართლიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგებისა და მთელი ოკუპირებული არაბული მიწა-წყლის, მათ შორის იერუსალიმის არაბული ნაწილის განთავისუფლების პრინციპებს.

●●

ჰავანა. გაფიცვებითა და სხვა მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით უპასუხებს სალვადორელი ხალხი გენერალ კარლოს უმბერტო რომეროს დიქტატორული რეჟიმის სისხლიან რეპრესიებს.

მთელი რიგი პროფკავშირული, გლეხთა და სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენელი ბმა დედაქალაქში დაიკავეს რამდენიმე ეკლესია და პროტესტს აცხადებდნენ არმიისა და პოლიციის სიმკაცრის წინააღმდეგ.

●●

ტოკიო. „მოისპოს ამერიკის ბაზები ოკინავაში!“, „დავიცვათ მშვიდობა და დემოკრატია!“ — ამ ლოზუნგებით ოკინავის ადმინისტრაციულ ცენტრში — ქალაქ ნაჰაში გაიმართა კუნძულის მშრომელთა და პროგრესული საზოგადოებრიობის მასობრივი მიტინგი. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა დაგმეს ვაშინგტონის სტრატეგია, რომ შემდგომ გაადიდონ ოკინავაზე ამერიკის ჯარების რიცხვი და აზიისა და წყნარი ოკეანის აუზში პენტაგონის მთავარ პლაცდარმად გადააქციონ ეს კუნძული.

ამ დღეებში საფრანგეთიდან დაბრუნდა ჩვენი გაზეთის პოლიტიკური მიმომხილველი პროფესორი ედუარდ მენაბდე, რომელიც მონაწილეობდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კოლოკვიუმში განიარაღების საკითხებზე.

მტკიცე მშვიდობა განიარაღებით იწყება

ეგვარი შეხვედრები სენსაცია აღარ არის. მსოფლიო საზოგადოებრიობა, სხვადასხვა სოციალური ფენების, პოლიტიკურ და რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები, მეცნიერები, მწერლები, ყოფილი სამხედრო პირნი და სხვანი კარგა ხანია აქტიურად იბრძვიან თანამედროვე საერთაშორისო პრობლემების სამართლიანი გადაჭრისათვის. გაიხსენეთ თუნდაც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პერიოდული სესიები, მშვიდობის, მეგობრობა 1973 წლის მოსკოვის კონგრესი, პაგუოშის, დარტმუტისა და სხვა კონფერენციები, და თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რაოდენ ფართო და ძლიერია მშვიდობისა და უშიშროებისადმი სწრაფვა მთელ ჩვენს პლანეტაზე. სხვათა შორის, ერთ-ერთი ასეთი სჯა-ბაასი (დარტმუტის მორიგი კონფერენცია) თბილისშიც კი გაიმართა 1974 წელს და მასში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერები, საისტორიოს მეცნიერებათა დოქტორმა გ. კნიაზინსკიმ, ხოლო ფრანგთაგან — გენერალმა ფ. გამბიეზმა, მშვიდობის მოძრაობის მდივანმა რ. მაიერმა, ყოფილმა მინისტრმა პ. გრანემ და საფრანგეთის აკადემიის წევრმა, ეროვნული კრების ყოფილმა თავჯდომარემ ედგარ ფორმა.

ი. ჟუკოვმა სრულყოფილად ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის პოზიცია განიარაღების პრობლემის მიმართ და ამავე დროს აღნიშნა მშვიდობის მოწინააღმდეგეთა გააქტიურება ამ ბოლო ხანს. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პეკინიდან მომდინარე საშიშროებას.

საფრანგეთის წარმომადგენელთა უმრავლესობამ გაიზიარა ეს თვალსაზრისი. ასე, მაგალითად, როგორც გენერალმა გამბიეზმა აღნიშნა, დღეს სწორედ ჩინეთის მოქმედა უქმნის მშვიდობას მთავარ საფრთხეს. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩინეთის არმიაში ამჟამად 3,25 მილიონი ჯარისკაცი ჰყავთ, ხოლო კიდევ 7 მილიონი — შედის ეგრეთ წოდებულ „თავდაცვის ოპერატიულ“ ნაწილებში“; სხვა ქვეყნებში ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევა 15 მილიონი „ხუთაძაო“. „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების ეროვნული კომიტეტის წევრმა პ. ლაველმა თქვა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ ამერიკის დახმარებით შექმნან ანტისაბჭო; ური იაპონია-ჩინეთის კავშირი.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სცადა ეს სერიოზული პრობლემა იუმორში გაეტარებინა (ფრანგი მაინც ფრანგია!) და დამაწყრეთ შეახსენა ფრანგული ფილმი, რომელშიც ჩინეთის არმია იპყრობს საფრანგეთს. ამ „დაპყრობის“ შემდეგ გაქტიურდნენ ფრანგი ქალები (ალბათ, ისეთი, პლას-პიგალზე რომ ნახავთ) და... მოხიბლეს ჩინეთის ჯარი, რითაც დაუბრუნეს საფრანგეთს დამოუკიდებლობა. იუმორი, რა თქმა უნდა, ყოველთვის კარგია, იგი არც საერთაშორისო შეხვედრების დროს უნდა აღიკვეთოს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დასავლეთის გარკვეულ წრეებში აღნიშნულ საშიშროებას მეტად გულგრილად, ზერელედ უყურებენ?

საგულისხმოა, რომ გენერალ გამბიეზის საერთად სერიოზულ მოხსენებაში ამგვარი ნეგატიური მოტივებიც იყო, მან, მაგალითად, ევროპაში შექმნილ ვითარებას „შიშის წონასწორობა“ უწოდა და შეადარა პოკერის თამაშს, როდესაც ორივე მხარე ბლეფს მიმართავს, რათა დაარწმუნოს მეტოქე, მე უფრო ძლიერი ქაღალდი მაქვსო.

საინტერესო სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის აკადემიის წევრმა, ეროვნული კრებისა და მთავრობის ყოფილმა თავჯდომარემ ედგარ ფორმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მან, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის პრეზიდენტმა, წინადადება წამოაყენა საერთაშორისო ხელშეკრულებით გაფორმდეს ადამიანის უფლება მშვიდობასა და განიარაღებაზე, რადგანაც ჩვენი პლანეტის ყოველ მცხოვრებს აქვს უფლება მოითხოვოს, რომ ბუნებრივი რესურსები მოხმარდეს ადამიანებს ხელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

რეგულარული ხასიათი აქვს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ანალოგიურ შეხვედრებსაც, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების თვალსაზრისით. ალბათ არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეგობრული ურთიერთობა ევროპაში მშვიდობის, უშიშროებისა და სტაბილურობის თავისებური ღერძია, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მოსკოვში პრეზიდენტ ჟისკარ დესტენის უკანასკნელი ვიზიტის დროს.

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეთა მორიგი შეხვედრა განიარაღების საკითხებზე მოეწყო პარიზის სასტუმრო „ნოვოტელის“ სხდომათა დარბაზში. საბჭოთა დელეგაციას, რომელშიც 29 კაცი შედიოდა, გაზეთ „პრავდის“ პოლიტიკური მიმომხილველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე იური ჟუკოვი ხელმძღვანელობდა. ფრანგებს (76 წარმომადგენელი) არ ჰყავდათ ოფიციალური ხელმძღვანელი, რადგანაც მათი აზრით, ეს იყო არა ორმხრივი, არამედ ცალკეულ საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრა, რომელიც გამოხატავენ საკუთარ და არა ოფიციალურ აზრს. ამიტომ საფრანგეთის „დელეგაციის“ სიაში ნახავდით, მაგალითად, საბჭოთა კავშირის პარიზელი კორესპონდენტების ალექსანდრე ივანტიევისა და გიორგი ზუბკოვის სახელებსაც.

საბჭოთა და ფრანგული პრესა საკმაოდ აქტიურად გამოეხმაურა ამ შეხვედრას და ამიტომ აღარ გავიმეორებ იმას, რაც უკვე ითქვა. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ ჩვენგან მოხსენებები წაიკითხეს ი. ჟუკოვმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. კოვალსკიმ, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორმა მ. მილშტეინმა და ტრიბუნა ეთა ... [illegible]

ცხადია, ეარავინ მოელოდა, რომ კონფერენცია გადაიქცეოდა ერთ ხმაზე მომღერალ გუნდად, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საერთო გულწრფელი მისწრაფება — ხელი შეეწყოთ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის — განიარაღების პრობლემის სამართლიან გადაჭრას, — ეს იყო ის მთავარი, რაც წითელ ზოლად გასდევდა კოლოკვიუმის მთელ მუშაობას.

პარიზის შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ განიარაღების პრობლემა იმდენადვე რთულია, რამდენადაც აქტუალური. მისი ერთი ხელის დაკვრით გადაჭრა შეუძლებელია. ამჟამად ჩვენ იმ სტადიაზე ვართ, როდესაც ყველა აღიარებს (გულწრფელად თუ არა, — ამაზე აღარ ვლაპარაკობთ) ამ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას. ჩვენ მეორე სიფეხურზე გადასვლის პროცესში ვართ — ვცდილობთ გამოვნახოთ განიარაღების რეალური და შეთანხმებული გზები. მართალია, ეს სტადია მხოლოდ იწყება, მაგრამ საგულისხმოა, რომ უკვე დღეს ვცდილობთ უფრო შორს გავიხედოთ და განვსაზღვროთ განიარაღების შესაძლო ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური შედეგები, რაც თავისთავად ურთულეს პრობლემას წარმოადგენს.

ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ კონფერენციაზე მოხსენებები და გამოსვლები კონცენტრირებული იყო სამი პრობლემის ჯარშემო: 1. განიარაღება თანამედროვე მსოფლიოში; 2. განიარაღების პროცესი; 3. განიარაღების ეკონომიკური ასპექტები.

ცხადია, პარიზის კოლოკვიუმს არ უთქვამს (და ვერც იტყოდა) უკანასკნელი სიტყვა ამ საკითხებზე, მაგრამ ნათლად დაადასტურა ის უდავო ჭეშმარიტება, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია — განიარაღება დღეს თანამედროვეობის აქტუალური პრობლემაა, რომლის გადაუჭრელად მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა შეუძლებელია.

ედ. მენაბდე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

საწარმოს მართვაში მთავარი ნორმატიული დოკუმენტია. მისი შემდგენის საბოლოო მიზანი მარტო ის კი არ არის, რომ დავალებები და პრობორციები განსაზღვროს, არამედ ისიც, რომ შესრულების პროცესშივე ეკონომიკურად დასაბუთებულ და ეფექტიან გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველი შეუქმნა ყველა დონის ხელმძღვანელს. სახალხო მეურნეობის გეგმიან მართვაში სულ უფრო ფართო გამოხატულებას პოულობს პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების ურთიერთშეხამების პრინციპი, რომელშიც პერსპექტიულ გეგმებს წამყვანი როლი ეკუთვნის. ამასთან, გათვალისწინებულია საწარმოო ძალთა უფრო რაციონალური განლაგების აუცილებლობა, მთელი ქვეყნისა და თითოეული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესების ურთიერთშერწყმა.

საბჭოთა კავშირმა მდიდარი გამოცდილება შეიძინა არა მარტო პერსპექტიულ ხუთწლიან, არამედ გრძელვადიან დაგეგმვასა და პროგნოზირებაშიც. ეკონომიკური პროგნოზირების ისტორია იწყება ვ. ი. ლენინის ცნობილი ნაშრომით — „თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონასახი“ (1918 წლის აპრილი), რომელიც მეცნიერული პროგნოზის განფენილი ნიმუშია. 1920 წელს, როდესაც დაგეგმვა და სოციალისტური ბირთვა პირველ ნაბიჯებს დგამდნენ, ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ფუძემდებელი დაგეგმვის სისტემაში პერსპექტიული გეგმის წამყვანი როლის შესახებ.

ჯერ კიდევ იმ შორეულ წლებში ნავარაუდევი იყო გეგმების სისტემის შექმნა, რომელსაც უნდა მოეცვა გრძელვადიანი, საშუალოვადიანი (ხუთწლიანი) და მიმდინარე (როგორც წესი, წლიური) გეგმები. ეს სისტემა, მისი ფორმები და მეთოდები უცვლელი როდი რჩებოდა. ისინი ვითარდებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა ეკონომიკური შენებლობის მიღწევებისა და ახალი ამოცანების შესატყვისად.

ომისშემდგომ პერიოდში დაგეგმვის სრულყოფისთვის დიდი სამუშაოები განხორციელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სეპტემბრის პლენუმების, პარტიის XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების დაგეგმვის გაუმჯობესებას.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი გამოცდილება შეძენილი პერსპექტიული და მიმდინარე სახელმწიფო გეგმების საფუძველზე სახალხო მეურნეობის მართვაში. მაგრამ ეკონომიკის განვითარების თანამედროვე დონე უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მას.

სამეურნეო მექანიზმი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეესაბამება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მოთხოვნებს. საზოგადოებრივი წარმოების გაზრდილი მასშტაბის პირობებში პარტიის XXV ყრილობის მიერ წამოყენებული ახალი დიდი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია, აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განეკილური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომ ავამაღლოთ გეგმიანი მუშაობის დონე, შევუსაბამოთ იგი ჩვენი მეურნეობის ახალ მასშტაბსა და დღევანდელ სახეს, დროის ახალ მოთხოვნებს. ეს კი საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის უპირატესობანი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსპექტიული გეგმების, როგორც პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტის როლის შემდგომ ამაღლებას. ეკონომიკის დინამიკურ და პროპორციულ განვითარებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში; გეგმების დაბალანსების უზრუნველყოფას; ეკონომიკურ-ტექნიკურ ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების დაგეგმვის გაუმჯობესებას.

* * *

სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით შეიმუშავეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გრძელვადიანი პროგნოზი 1990 წლამდე და 2000 წლამდე. იგი საფუძვლად დაედება პერსპექტივიანი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავებას. საჭიროა ზუსტად განისაზღვროს რესპუბლიკის ყოველი სამინისტროს და უწყების ადგილი და როლი აღნიშნული კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში.

მაგრამ ტექნიკური პროგრესი მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა მაქსიმალურ ეფექტს, როცა იგი ორგანულად არის შეხამებული შრომის ორგანიზაციის, მართვისა და დაგეგმვის მოდგმივ სრულყოფასთან. ამიტომ საჭიროა არსებითად აწყვეტილ-ით ამ საკითხებსაც.

ამჟამად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სამინისტროები და უწყებები მუშაობენ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის პროექტის შედგენაზე. ამ გეგმის ხარისხობრივ დონეზე და იმაზე, თუ რამდენად სრულად და მიზანშიმართულად აისახება მასში რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდისა და მოიყენებელ ჯერ კიდევ გამოუყენებელ შესაძლებლობათა რეალიზაცია, იმაზე, თუ რამდენად ოპტიმალური იქნება შესაბამისი დარგობრივი საგეგმო მონახაზები, ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულება და მეათე ხუთწლიანი გეგმით დასახული სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ძირითადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

ნ. სანთელაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე.

ლამაზი სიცოცხლე

გიორგი ნიკოლაძის დაბადების 90-ე წლისთავის გამო

ამ საოცრად მრავალმხრივ ადამიანში იშვიათი ჰარმონიულობით თავსდებოდა მკვლევარ-გეომეტრი, ინჟინერ-მეტალურგი, ტერმინოლოგი, გამომგონებელი და სპორტსმენი. ბოლოდროინდელ ყველა სფეროში მან ისეთი კვალი დატოვა, რომ სამარადისოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართველი ხალხის საუკეთესო მამულიშვილთა შორის.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც გიორგი ნიკოლაძე ჩვენგან წავიდა, მაგრამ მისი ნამოღვაწარი ისე ცხოველად ეხმაურება დღევანდელობას, ახლაც იმდენრამით გვახსენებს თავს, რომ ჩვენს თანამედროვედ გვესახება.

მთავრდება ენგურჰესის გრანდიოზული მშენებლობა — როგორ არ გავიხსენოთ აქ, რომ ჯერ კიდევ 1911 წელს 23 წლის გიორგიმ რამდენიმე თვე მოანდომა ენგურის საგულდაგულო შესწავლას, რადგანაც „კარგად „გრძნობდა“ ამ ულამაზესი მდინარის უზარმაზარ ენერგიას;

1928 წელს პარიზს სამეცნიერო მივლინებით მყოფმა გ. ნიკოლაძემ სხვათა და სხვათა საქმეთა შორის გამოიგონა ელექტრული არითმომეტრი — იმ დროისათვის არსებითად ახალი ტიპის გამომთვლელი მანქანა. და გამომთვლელი მანქანების მძაფრი განვითარების ეპოქაში გ. ნიკოლაძე ისევ გვაკვირვებს რევოლუციური აზრით, მომავლის პრობლემების ადრეული განჭვრეტის უნარით;

... გიორგი ნიკოლაძე დაიბადა გამონენილი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის და კრიტიკოსის ნიკო ნიკოლაძისა და უალრესად განათლებული, იშვიათი პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული ქალის ოლღა გურამიშვილის ოჯახში. ასეთი დედ-მამისაგან დაჰყვა მას მშობლიური ქვეყნის, ბუნების, ხალხის მხურვალე სიყვარული, ნათელი გონება, მტაცეცი ხასიათი და მიზანსწრაფვა; თუმცა წმინდა მათემატიკისადმი მიდრეკილება ადრე გამოამჟღავნა, თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შევიდა: გიორგი თვლიდა, რომ საქართველოს კეთილდღეობის ამაღლებას ყველაზე კარგად მაშინ შეიწყობს ხელს, თუ უწინარეს ყოვლისა ტექნიკურ სპეციალობას დაეუფლება.

მეტალურგ-ქიმიკოსის დიპლომის მიღების შემდეგ 1912-1918 წლებში იგი დონბასის ქარხნებში მუშაობდა საბრძმედე წარმოების შესანიშნავი რუსი ოსტატების მ. კურაკოსა და ი. ბარდინის ეგზარდით და თვითონაც ამ საქმის დიდი სპეციალისტი გახდა. შემდგომ, უკვე საქართველოში, გ. ნიკოლაძემ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართველი პროფესიონალი მეტალურგების მომზადებაში, ფეროშენადნობთა წარმოების დამუშავებაში. იგი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობის დაგეგმვის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, ეს ქარხანა ახლა გ. ნიკოლაძის სახელს ატარებს.

სიჭაბუკეში დაწყებულ მათემატიკურ კვლევა-ძიებას გიორგი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა. როდესაც 1918 წელს ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში მიიწვიეს, გ. ნიკოლაძემ ა. რაზმაძესთან, ა. ხარაძესთან და ნ. მუსხელიშვილთან ერთად შეადგინა ქართული მათემატიკური სკოლის დამფუძნებელთა დაუვიწყარი ოთხეული.

გეომეტრიული კვლევის დასასრულებლად გ. ნიკოლაძე 1926 წელს უცხოეთში მივიმგზავრება სამეცნიერო მივლინებით; იქ აქვეყნებს რამდენიმე პირველხარისხოვან ნაშრომს ალგებრულ გეომეტრიაში და 1928 წელს პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას. ა. რაზმაძის შემდეგ ეს მეორე შემთხვევაა, როცა ქართველ მათემატიკოსს ენიჭება საფრანგეთის უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი.

„გიორგი ნიკოლაძე ბუნებით იყო გეომეტრიო“ — იტყვის მოგვიანებით აკადემიკოსი ელი კარტანი — ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი გეომეტრი.

ზემოხსენებული ელექტრული არითმომეტრის გამოგონებას აღფრთოვანებით გამოეხმაურა მეორე ფრანგი აკადემიკოსი მორის დოკანი — გამოყენებითი მათემატიკის გამორჩენილი სპეციალისტი. ევროპულმა და ამერიკულმა ფირმებმა სარფიანი წინადადებები შესთავაზეს ქართველ გამომგონებელს, მაგრამ მან ყველას უარი უთხრა, ვინაიდან საშობლოში აპირებდა თავისი პროექტის ხორცშესხმას.

ძნელია გადაჭარბებით შეეფასოთ გ. ნიკოლაძის პიონერული ღვაწლი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნის საშვილიშვილო საქმეში. ამ მიმართულებით მისი ინიციატივით გაშლილი დიდი მუშაობა მხოლოდ ნაწილობრივ აისახა პირველი რუსულ-ქართული ტექნიკური და მათემატიკური ლექსიკონების გამოჩენაში. გიორგის მიერ მოწოდებული არაერთი ტერმინი — ფიზიკური, მათემატიკური, ტექნიკური, სპორტული — სამუდამოდ შერჩა ქართულ ენას. საკმარისია დავასახელოთ „წნევა“, „ღენი“, „წერტილი“, „წრფე“, „მთამსვლელობა“, „ტანვარჯიში“ და ა. შ.

ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს გ. ნიკოლაძე ისევ მასშტაბურად და ღრმად უდგებოდა, როგორც ყველაფერს. მისი წინამძღოლობით მომზადებული და განხორციელებული მასობრივი ასვლები მყინვარწვერზე (1923 წ.) და იალბუზზე (1925 წ.) მთელი საბჭოთა ალპინიზმის სახელოვანი მატიანის თავფურცლად იქცა. ეს ასვლები, ისევე როგორც მის მიერვე ორგანიზებული მაღალმთიანი ტურისტული ლაშქრობები მხოლოდ სპორტის პროპაგანდის, მთამსვლელობის და ტურიზმის განვითარების კარგად მოფიქრებული, ხანგრძლივი გეგმის ცალკეულ რგოლებს როდი წარმოადგენდა: ისინი კიდევ მიზნად ისახავდნენ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოვლენასა და ათვისებას.

ჩინებული, საერთაშორისო ასპარეზობებზე არაერთგზის პრემიერული ტანმოვარჯიში, ჩინებული მთამსვლელი, ახოვანი, ტანადი და ძარღვიანი, იგი თვად განასახიერებდა ათლეტის საუცხოო ნიმუშს.

რა საქმისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, გ. ნიკოლაძის ირგვლივ თავს იყრიდნენ მრავალრიცხოვანი მოწაფეები და მიმდევრები. სამაგალითო პირადი ღირსებების წყალობით ხა, როგორც არავის, შეეძლო ადამიანების მიზიდვა, ენთუზიაზმით ავსება, სამოქმედო დარაზმვა. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მისი უშუალო მოწაფე — ინჟინერი, მეტალურგი, მათემატიკოსი, გეოგრაფი — დღესაც შრომობს არჩეულ სარბიელზე.

... თუ ვეკითხავთ, როგორ შეძლო ერთმა თუნდაც ბუნებით ესოდენ უნიჭად მომადლებულმა ადამიანმა ამდენი რამ ხანმოკლე, 42-წლიანი სიცოცხლის მანძილზე, მრავლისმეტყველ პასუხს აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი გვაძლევს: გიორგი ნიკოლაძეს ჰქონდა მოვალეობის განსაკუთრებული გრძნობა უდიდეს ნებისყოფასთან ერთად.

ქვეყნის, ერის წინაშე ამ მოვალეობის მრავალმხრივ, ერთგულ სამსახურს შესწირა მან თავი-სი მშვენიერი და კეთილშობილი სიცოცხლე.

ლ. მაღნარაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი;

თ. ეგანოიძე.
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტაუს უკრავენ დავით თორაძეს

დილიჟანი, (სომხეთის სსრ). 14 მაისი (საქინფორმის სპეც. კორ). აქ, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებით სახლში გამართული საბჭოთა და იტალიელი კომპოზიტორების საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებმა „ჟულთბილად მიიღეს ცეკვის დიდი წარმატება საქართველოს სახალხო არტისტს დავით თორაძეს. მ. ი. ლერმონტოვის პოემის მიხედვით შექმნილმა, ფილმ-ბალეტმა „მწირმა“ რომლის მუსიკა დაწერა პოპულარულმა კომპოზიტორმა, სიმპოზიუმის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

„ამ ნაწარმოებს დიდი ყურადღებით ვუყურებ, — თქვა იტალიელ კომპოზიტორთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, მუსიკალურმა კრიტიკოსმა ლუიჯი პესტალოციმ, — ის საკმაოდ კარგად არის დადგმული, აქვს კარგი რიტმი, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დავით თორაძის მუსიკის ეფექტიანობა, რომელიც საუკეთესოდ ეხმიანება ეპოქას. ეს ბალეტი ეფექტიანობა, რომელიც საუკეთესოდ ეხმიანება ეპოქას. ეს ბალეტი ეფექტიანობა, რომელიც საუკეთესოდ ეხმიანება ეპოქას. ეს ბალეტი

კურორტი ელის დამსვენებელს



ათასობით მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე ისვენებს ყოველწლიურად კურორტ გაგრაში.

ქალაქის მშენებლობა პირველ ხუთწლედში დაიწყო. ახლა გაგრას სამართლიანად უწოდებენ შავიზღვისპირეთის მარგალიტს. დიდებულია სურნელოვანი სუბტროპიკული მცენარეებით დაბურული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. 80 სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებაში ყოველწლიურად 500 ათასამდე კაცი მკურნალობს და ისვენებს.

ამჟამად გაგრის ჯანმრთელობის კერებში შვებულებას ატარებენ ტიუმენელი მენავთობეები და ვორკუტელი მეშახტეები, კამის ავტოქარხნის ავტომობილმშენებლები და ყუბანელი მხვნელ-მთესველები, ბამის მშენებლები და ნორილსკელი მეტალურგები...

ზაფხულის საკურორტო სეზონის დამდეგს გაგრაში მწყობრში ჩადგა ახალი სავაჭრო ცენტრი.

თვალწარმტაც ყოფკვარის ხეობაში აგებულ მინისა და ბეტონის შენობაში განლაგებულია გასტრონომი, სამრეწველო საქონლის მაღაზია, რესტორანი, კაფე და ბარი.

სავაჭრო კომპლექსი ააშენა ბზიფის ექსპერიმენტალურმა სამშენებლო კომბინატმა.

სურათებზე: ქალაქ-კურორტის ზღვის სანაპირო (ზემოთ); ახალი სავაჭრო კომპლექსი გაგრაში.

ი. ჭოხონელიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნუ ვიძინებით გულგრილნი

არარეალური სამყაროს რეალური ბოროტება

რეპორტაჟი რესპუბლიკური ფსიქიატრიული სანატორიუმის ნარკოლოგიის განყოფილებიდან

...**იგი** დამნაშავესავით იღიმება, ხელის კიდეზე გაუბედავად ჯდება და შეკითხვებზე დაფვრილებით იძლევა პასუხს. ეხოვრობს ზღვისპირა ქალაქში, სწავლობს საშუალო სპეციალურ სასწავლებელში. 18 წლისაა, დედისერთა, დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. მამა ინჟინერი ყავს, დედა — მასწავლებელი, მშობლები ამჟამად პენსიაზე არიან. თავდაბალ ნერვული ბავშვი იყო, დროთა განმავლობაში სულ უფრო ნერვული ხდებოდა. ნახევარი წლის წინათ მეგობრების რჩევით პირველად გაიარა თამბაქო ნარკოტიკებთან ერთად, როგორც თვითონ ამბობს, „დამშვიდების მიზნით“. ამას წინათ მილიციამ დაიჭირა და რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს ნარკოლოგიის განყოფილებაში მიიყვანა, სადაც ახლა ვესაუბრებით.

—მალე გამომწერენ, ნარკოტიკები უკვე აღარ მიზიდავს. მივიხედი, რომ ნერვულ სისტემას უნდა ვიმკურნალო. შხამიანი ქვამლი კი არა, ნერვული სისტემის მკურნალობა მჭირდება, ამბობს ზურაბ ა.

ჭაბუკის შემდგომი ბედ-იღბალი მარტო მის საკუთარ ხელში რომდია, — თქვა ექიმმა ნარკოლოგმა ი. ამნიაშვილმა, რომელიც პაციენტთან ჩვენს საუბრის გამართვაზე, იგი დაბრუნდება მშობლიურ ქალაქში, სადაც ძველ გარემოში აღმოჩნდება. და მაშინ ყველაფერი იმ ადამიანებზე იქნება დამოკიდებული, რომლებიც მის გვერდით აღმოჩნდებიან. ესენი არიან მისი მშობლები, მეგობრები, ამხანაგები. საავადმყოფოში ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, რათა — ზურაბი მისი წარსული ეხოვრების უარყოფითი მხარეებისაგან დაგვიცვა. ვფიქრობთ, იგი სწორად შეეფასებს იმას, რაც მოხდა, მაგრამ, თუ თვითონ ვერ შეძლებს, გარშემო მყოფნი უნდა დაეხმარონ.

— ნარკომანია განსაკუთრებული ავადმყოფობაა. ნარკომანიით საკუთარი სურვილით „ავადდებიან“ — თავიანთი სურვილით იწამლავენ შხამებით ორგანიზმს და ილუზიების სამყაროში გადადიან. ვინ არიან ის ერთეულები, ხშირად ჩვენს გვერდით მყოფნი, დამოუპველი დაავადების ჭაობში რომ ეფლობიან?

აი რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს ნარკოლოგიის განყოფილების ექთოტრეკის მიხედვით შექმნილი ნარკომანის განზოგადებული პორტრეტი: ასაკი 18-26 წელი, ქალაქის მკვიდრი, უცოლო, საშუალო განათლებით, უფრო ვიათად — სტუდენტი. ნარკოტიკებს დაიწყო „ცნობისმოყვარეობის გამო“, გარემოს ზეგავლენით, იქმს მიმართა მშობლების თხოვნით.

შეუძლებელია ამ ცნობებმა არ შეგვაშფოთოს. ყოველთვის როდი ხერხდება „გამოკვლილი“ მეგობრების ავტორიტეტს, ენებისყოფო პიროვნების არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას დავუპირისპიროთ სწორად ორგანიზებული აღმზრდელობითი მუშაობა, ძნელი ხდება ახალგაზრდა კაცის სასარგებლო საქმით დაინტერესება. ექიმებმა დაადგინეს, რომ ნარკომანთა აბსოლუტურ უმრავლესობას ხასიათის ფსიქოპათოლოგიური ნიშნების მქონე პიროვნებანი შეადგენენ. ეს გაფრთხილებად უნდა იქცეს მშობლებისათვის, ამხანაგებისათვის, კომკავშირული ორგანიზაციებისათვის. ჩვეულებრივ, ოჯახის წევრები ნარკოლოგიის დისპანსერებსა და მილიციის ორგანოებს მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა ნარკომანი ეხოვრებაში ავლენს უარყოფით თვისებებს. თვით პროცესს, კი როცა ახალგაზრდა კაცი ნარკოტიკებს ეჩვევა, პროცესს, რომელიც შეუძლებელია არ აისახოს მის ქცევაში, დიდხანს ვერ ამჩნევენ.

— როგორც ნებისმიერი სხვა ავადმყოფობის, ნარკომანიის თავიდან აცილებაც უფრო იოლია, ვიდრე მკურნალობა, — თქვა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. მამარდაშვილმა. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია მილიციის ორგანოებთან პროფილაქტიკურ ღონისძიებებისა და დისპანსერების ქსელის ნაყოფიერ კონტაქტებზე. ჩვენი საავადმყოფო უკანასკნელი ინსტანციაა. ვიდრე ამგვარ ადამიანებს საავადმყოფო დასჭირდებოდეთ, უნდა გამოვიყენოთ სხვა ღონისძიებები, მათ შორის საზოგადოებრივი ზემოქმედებაც. ნარკოტიკებს შეჩვეული ახალგაზრდების გამოვლენა, იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომლებმაც ისინი ამ გზაზე დააყენეს, მათ გარშემო ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა — აი რა არის მთავარი ნარკომანიასთან ბრძოლაში. ოღონდ სრული პასუხისმგებლობით უნდა მიეთვალთ იმას, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელიც ეს-ეს არის ცხოვრებას იწყებს, არ ცდილობდეს ნარკოტიკის არარეალურ სამყაროში გადასვლას.

ზურაბ ა. დღეისათვის ერთადერთი ნარკომანია რესპუბლიკურ საავადმყოფოში. აქ არც შარშან ყოლიათ ბევრი ნარკომანი. ეს კი ადვილ ერთი მიზეზია დაფიქრებისათვის. მკურნალობს თუ არა ყველა ახალგაზრდა, ვინც აქ არ მოხვედრილა? რა თქმა უნდა, ჩვენში ნარკომანიას მასობრივი ხასიათი არა აქვს, მაგრამ საინტერესოა, სრულად ავლენენ და მკურნალობენ თუ არა დისპანსერები, პროფილაქტორიუმები და ნარკოლოგიის კაბინეტები ნარკომანებს, რომელთა უმრავლესობას სურს იმკურნალოს? რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში ცარიელია ნარკომანებისათვის გამოყოფილი საწოლები. საბალოო სასამართლოების საქმეებში არც ისე ხშირად გვხვდება გადაწყვეტილებები სამკურნალოდ მათი იძულებითი გაგზავნის შესახებ.

ნარკომანიით, ისევე როგორც ალკოჰოლიზმით გამოწვეული ზარალი, მარტო სამუშაო საათებით როდი განისაზღვრება. ნარკოტიკებით გაბრუებულ პიროვნებას არ შეუძლია სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას, უფრაფრად კი საკუთარ თავს ვნებს და იღუპავს. და ეს მარტო მედიცინის მუშაკებს როდი უნდა აღელვებდეთ.

ვ. გოლოვინი,
(საქინფორმის კორ.).

როგორ ემზადებოდნენ

წელს უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა სამი ოფიციალური მატჩი გამართა. ჯერ ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ ამხანაგურ შეხვედრაში სძლია (3:0) გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს, შემდეგ ხოჟუვის „შლიონსკის“ სტადიონზე ამხანაგური შეხვედრა ფრედ (1:1) დაამთავრა პოლონელებთან, ბოლოს კი ისევ ბუდაპეშტში ევროპის პირველობის პაექრობა ბერძნებთან ასევე ფრედ (0:0) აღინიშნა. თუ პირველ ორ მატჩში მიმომხილველებმა უნგრელების თამაშს მაღალი შეფასება მისცეს, მესამის შემდეგ „ექსპერტი“ უფრო კრიტიკულ შენიშვნებზე აიღეს.

გერმანელებთან უნგრელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: კატცირაცი, ტერეკი, კოშიჩი, ა. ნადი, კუტაში, ჩაპო, ნილაში, ზომბორი, შოკოლაი, ტერეჩიკი, ტიბოერი. თამაშის პროცესში შოკოლაი შეცვალა ფაზეკაშმა, ჩაპო — პაშტორმა, ტიბერი — ტატარმა, ხოლო ა. ნადი — რაბმა. ბურთები გაიტანეს ტერეჩიკმა, ტიბერმა და ტატარმა.

ბერლინის გაზეთმა „დოიჩეს შპორტეხომ“ აღნიშნა, რომ ასეთი დიდი ინგარიშით გერმანელებს უნგრელებთან არასოდეს არ წაუგიათ, და ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ მასპინძლებმა ვაჟკაცური, ცეცხლოვანი თამაში უჩვენეს, განსაკუთრებით შეაქო გაზეთმა ნახევარმცველი ნილაში და ცენტრალური თავდამსხმელი ტერეჩიკი, აგრეთვე განაპირა მცველები ტერეკი და კუტაში, რომლებმაც პირდაპირ გასაქანი არ მისცეს ლეგენდარულ გერმანელებს.

„დოიჩეს შპორტეხომ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ უნგრელ ექიმ ... (ბუდაპეშტში) ... ბოლო ... ...